



17/4 1936 49  
გეორგიული  
200  
ქართული  
ბიბლიოთეკა

# მუშათა და ზღვათა მთავრობის განონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. მაისის 20

№ 11

ტფილისი.

## შ ი ნ ა ბ რ ს ი :

### მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა .

65. „რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის თაობაზე“ გამოცემული 1935 წ. ოქტომბრის 25-ის დადგენილების მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.  
სოფლის მეურნეობა.

66. 1936 წელს მებაბრეშუმეობის და თუთის ხის გაშენების გეგმისა და ამ სფეროში საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

67. სამელიორაციო ამხანაგობათა ლიკვიდაციის შესახებ.

68. მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და ადგილობრივი დაწესებულებების და ორგანიზაციების საბჭოთა მეურნეობების შესახებ.

### ვაკრობა. მომარაგება.

69. საქართველოს სსრ შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურის შესახებ.

70. 1936 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის შესახებ.

## მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

### 65. დადგენილება ს.კ.ს.

„რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის თაობაზე“ გამოცემული 1935 წ. ოქტომბრის 25-ის დადგენილების მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ადგილობრივი ბაზრების მმართველობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. თებერვლის 4-ის თარიღისა და 176 №-ის დადგენილების 1-ლ მუხლთან დაკავშირებით (სსრკ. კან. კრ. 1936 წ. მე-7 №-ი, მუხ. 65), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამოიშალოს მე-8 მუხლიდან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ოქტომბრის 25-ის თარიღის და 1459 №-ის დადგენილებისა „რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 33 №-ი, მუხ. 207) სიტყვები „საკოლმეურნეო ბაზრების“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ხ. მეზუკე.

1936 წ. მარტის 29. № 337.

ტფილისი.

## მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

### 66. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ (ბ) ც.კ.

1936 წელს მეაბრეშუმეობის და თუთის ხის გაშენების გეგმისა და ამ სფეროში საჭირო ღონისძიებთა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. აღინიშნოს, რომ მეაბრეშუმეთა აგრომომსახურეობის გაუმჯობესებასთან და მთელი რიგი სარაიონო პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების მიერ მეაბრეშუმეობის სფეროში მთლიანად მუშაობის ხელმძღვანელობის უკეთეს ორგანიზაციასთან დაკავშირებით, 1935 წელს საქართველოში პარკის დამზადების გეგმა შესრულებულ იქნა გადამეტებით—დამზადებულია 2.550 ტონა წინააღმდეგ გეგმით გათვალისწინებული 2.500 ტონისა. მაგრამ მაინც, მარტვილის, აბაშის და წალენჯიხის სარაიონო პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების უხეირო მუშაობის შედეგად ამ რაიონებში 1935 წელს პარკის დამზადების გეგმები შესრულებული არ იყო.

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. თებერვლის 9-ის დადგენილების შესაბამისად, დამტკიცებულ იქნას 1936 წლისათვის საქართველოში პარკის დამზადების გეგმა 2.950 ტონის რაოდენობით, ერთ კოლოფ აბრეშუმის ქიის თესლზე 36,9 კილოგრამი პარკის საშუალო გამოსავალით და გეგმის შემდეგი განაწილებით ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებზე (ინდანართი გვ. 132).

3. წინადადება მიეცეს „საქაბრეშუმტრესტს“, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის რაიონულ კომიტეტებს—დაამთავრონ პარკის კონ-

ტრაქტაცია მარტის 20-თვის; ამასთანავე აბრეშუმის ჭიის თუთის ფოთლით გამოკვებისა და პარკის ჩაბარების საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი დადებული უნდა იქნას ცალკეულ კოლმეურნე—მებარეშუმეობასთან და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობებთან.

4. სამრეწველო პარკის საშუალო სადამზადებლო ფასი დაწესებულ იქნას 7 მანეთის რაოდენობით თითო კილოგრამზე შემდეგი დიფერენციაციით:

აღმოსავლეთ საქართველოში: პირველი ხარისხი—8 მან. და 40 კაპ., მეორე ხარისხი—7 მან. და 10 კაპ. და მესამე ხარისხი—5 მან. და 50 კაპ.

დასავლეთ საქართველოში: პირველი ხარისხი—9 მან. და 15 კაპ., მეორე ხარისხი—7 მან. და 60 კაპ. და მესამე ხარისხი—5 მან. და 60 კაპ..

ჰიბრიდული პარკის სადამზადებლო ფასი დაწესებულ იქნას 50 კაპ. წამატებით თითო კილოგრამ სამრეწველო პარკის სახარისხო ფასზე.

ჯიშინი პარკის ფასი დაწესებულ იქნას: თითო კილოგრამ თეთრ პარკზე 9 მან. და 50 კაპ. და ყვითელ ბივოლიტურზე—10 მან. და 65 კაპ..

5. აბრეშუმის საქონელი პარკის ჩამბარებლებს მიეცეს არა უმეტეს, ვიდრე ჩაბარებული პარკის ღირებულების 20 პროცენტის რაოდენობით.

6. დაწესებულ იქნას, რომ ის კოლმეურნე, რომელიც სახელმწიფოსათვის თუთის ფოთლით გამოკვებული ჭიის პარკის ჩაბარების (კონტრაქტაციით) გეგმას გადამეტებით შეასრულებს, მიიღებს გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითულ კილოგრამ პარკზე პრემია-წანამატს შემდეგი რაოდენობით:

ა) როდესაც გეგმით ერთ კოლოფ აბრეშუმის ჭიის თესლზე ჩასაბარებელია არა უმეტეს 25 კილოგრამისა, —არსებული სადამზადებლო ფასის 15 პროცენტის რაოდენობით გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითულ კილოგრამ პარკზე;

ბ) როდესაც გეგმით ერთ კოლოფ აბრეშუმის თესლზე ჩასაბარებელია 25 კილოგრამზე მეტი, ხოლო არა უმეტეს 35 კილოგრამისა, —არსებული სადამზადებლო ფასის 30 პროცენტის რაოდენობით გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითულ კილოგრამ პარკზე;

გ) როდესაც გეგმით ერთ კოლოფ აბრეშუმის ჭიის თესლზე ჩასაბარებელია 35 კილოგრამზე მეტი, ხოლო არა უმეტეს 45 კილოგრამისა, —არსებული სადამზადებლო ფასის 75 პროცენტის რაოდენობით გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითულ კილოგრამ პარკზე;

დ) როდესაც გეგმით ერთ კოლოფ აბრეშუმის ჭიის თესლზე ჩასაბარებელია 45 კილოგრამზე მეტი, ხოლო არა უმეტეს 55 კილოგრამისა, —არსებული სადამზადებლო ფასის 150 პროცენტის რაოდენობით გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითულ კილოგრამ პარკზე;

ე) როდესაც გეგმით ერთ კოლოფ აბრეშუმის ჭიის თესლზე ჩასაბარებელია 55 კილოგრამზე მეტი, —არსებული სადამზადებლო ფასის 300 პროცენტის რაოდენობით გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითულ კილოგრამ პარკზე.



7. ერთპიროვნულ მეურნეობებს ჯგემის ზედმეტად ჩაბარებულ პრემია-წანამატი მიეცეს კოლმეურნეთათვის დაწესებული ნორმის ნახევრის რაოდენობით.

8. დაწესებულ იქნას, რათა მეაბრეშუმეთ ქუის კვების პერიოდში (უკეთეს ქუის კვება კარგ მდგომარეობაში იქნება) მიეცეთ ფულადი ავანსი 1 მანეთის რაოდენობით თვითეულ კილოგრამ დაკონტრაქტებულ პარკზე.

9. წინადადება მიეცეს „საქაბრეშუმტრესტს“— უზრუნველყოს მეაბრეშუმეთათვის გადასაცემი და ქვეშსაფენი ქალაღდის უფასოდ მიცემა საშუალოდ სამი კილოგრამის ანგარიშით ერთ კოლოფ აბრეშუმის ქუის თესლზე.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „საქაბრეშუმტრესტს“, რათა:

ა) ერთი ინსტრუქტორის მიერ გამოკვებისათვის მომსახურების გაწევის ნორმა მიღწევიანებულ იქნას საშუალოდ აბრეშუმის ქუის თესლის 175 კოლოფამდე და უზრუნველყოფილ იქნას 1936 წელს მეაბრეშუმეთა მომსახურების გაუქვობენება;

ბ) ინკუბირებულ იქნას მთლად სარეალიზებელი აბრეშუმის ქუის თესლი;

გ) სასაკვებო ფართობი ერთ კოლოფ აბრეშუმის ქუის თესლზე მიღწევიანებულ იქნას შემდეგ ოდენობამდე აბრეშუმის ქუის ხნოვანობის მიხედვით:

პირველი ხნოვანობის დროს არა ნაკლებ 2 კვ. მეტრისა

მეორე	"	"	"	4	"	"
მესამე	"	"	"	10	"	"
მეოთხე	"	"	"	20	"	"
მეხუთე	"	"	"	35	"	"

11. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, „საქაბრეშუმტრესტს“, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის რაიონულ კომიტეტებს:

ა) გაუწიონ კოლმეურნე-მეაბრეშუმეთ დახმარება იმ მხრით, რომ კოლექტიური მეურნეობების გამგეობებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა თავის დროზე მიუჩინონ ხოლმე მათ ტრანსპორტი როგორც საკვების, ისე შემსყიდველ პუნქტებში პარკის გადასაზიდად;

გაანთავისუფლონ კოლმეურნე-მეაბრეშუმენი სხვა საშუალოსაგან ქუის კვების პერიოდში ერთ კოლოფ აბრეშუმის ქუის თესლზე ერთი კაცის ანგარიშის მიხედვით;

ბ) მოაწყონ და მარტის 20-მდე დაამთავრონ მეაბრეშუმეობის თვითეულ მეურნეობაში სასაკვებო ფართობის არსებობისა და ინვენტარის მდგომარეობის გულდადებით შემოწმება;

ჩაატარონ აპრილის 5-მდე საკიეების დეზინფექცია ყველა მეურნეობაში და მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება იმ მეურნეობებს, სადაც 1935 წელს თავი იჩინა ქუის დაავადებამ;

გ) უზრუნველყონ აბრეშუმის ჭიის გამოცოცხლება გაზაფხულის მიმდინარეობისა და თუთის ხის კვირტის გაშლისა და ფოთლის მდგომარეობის შესაბამისად;

მოაწყონ აპრილის 5-მდე საინკუბაციო კამერები და დააკომპლექტონ ეს კამერები კვალიფიციური და ნაცადი მომუშავეებით;

უზრუნველყონ აბრეშუმის ჭიის თესლის ინკუბაციის მსვლელობის სისტემატური შემოწმება; მთლად საინკუბაციო აბრეშუმის ჭიის თესლი აძლიონ მეჭიეებს წონით (დაწესებული ნორმების კვალობაზე ქუპრის აწონვის წესისამებრ);

დ) უზრუნველყონ, რათა მეაბრეშუმეებმა თავის დროზე მიიღონ საინკუბაციო კამერებიდან ჭია, და მოაწყონ ჭიის წესიერი გამოკვების სისტემატური შემოწმება-ისე, რომ თავიდან აცილებულ იქნას დანაკარგები.

12. პარკის პირველადი გადამუშავების (გახმობა, ჩახშობა) მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად წინადადება მიეცეს „საქაბრეშუმტრესტს“—დასდგას მიმდინარე წელს არა ნაკლებ, ვიდრე 8 ახალი მექანიკური პარკსახმობი „სიმპლექსის“ სისტემისა.

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა (ამხ. ყურულაშიღლმა) უზრუნველყოს „26 კომუნარის“ სახელობის ქარხანაში 50 „სიმპლექსის“ ვადაზე დამზადება „საქაბრეშუმტრესტის“ მიერ „25 კომუნარის“ სახელობის ქარხანასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად.

13. ცნობილ იქნას, რომ პარკსახმობთა და სახშობთა მუშაობის მდგომარეობა არაღამაკმაყოფილებელია და მათი გამტარუნარიანობა—მცირე.

ახალ პარკსახმობთა და სახშობთა მშენებლობისა და ძველთა რემონტისათვის წინადადება მიეცეს „საქაბრეშუმტრესტს“—აღძრას „გლავმოლკის“ წინაშე საკითხი საჭირო სახსრისა და საშენი მასალის გაცემის შესახებ.

14. ვინაიდან თუთის ხის ნარგავთა მდგომარეობა არაღამაკმაყოფილებელია (არასაკმარისი მოვლა, ხეების არაწესიერი ექსპლოატაცია), დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის რაიონულ კომიტეტებს—უზრუნველყონ, რათა კოლექტივთა მიერ ნერგებმა და ცალკეულმა მეაბრეშუმეებმა შეასრულონ აგროწესები თუთის ხის გაშენების სფეროში (ხეების გარშემო მიწის ბარვა, სასუქის შეტანა, ხის ტანისა და კამარის გაწმენდა და ტოტების წესიერი გასხეპვა).

15. ვინაიდან მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის გაფართოების მოთხოვნა თანდათან იზრდება და ეს გაფართოება აუცილებელი ხდება, დამტკიცებულ იქნას 1936 წლისათვის თუთის ხის ნარგავთა გაშენების შემდეგი გეგმა: თუთის ხის თესვა—19 ჰექტარზე, ნათესი ნერგის სკოლების გაშენება—35 ჰექტარზე, 1.000.000 ფესვის ჩაყრა (საკარმიდამო მიწებზე და საკოლმეურნეო მიწების მასივებში, გზების პირად, საირიგაციო სისტემებისა და ლობეების გასწვრივ), თუთის ხის თესლის დამზადება—800 კილოგრამის რაოდენობით; ეს გეგმა დაყოფილ იქნას შემდეგნაირად ავტონომიურ რესპუბლიკებისა და რაიონებზე (იხ. გეგმა).



და ნ ა რ თ ე შ ი

გ ე გ მ ა

1936 წელს საქართველოს სსრ-ში აბრეშუმის ჭიის თესლის დარიგებისა და პარკის დამზადებისა.

რ ა ი ო ნ ე ბ ი	აბრეშუმის ჭიის თესლის დარიგება კო- ლოფებით	საშუალო გამო- სავალი ერთ კო- ლოფ აბრეშუმი- სათვის კილოგრ.	პარკის დამზა- დება ცენტნე- რობით
1. ტფილისის . . . . .	220	30	66,0
2. ბორჩალოს . . . . .	200	28	56,0
3. ლუქსენბურგის . . . . .	110	30	33,0
4. საგარეჯოს . . . . .	150	30	45,0
5. გორის . . . . .	80	30	24,0
6. სტალინისის . . . . .	50	26	13,0
7. კასპის . . . . .	200	30	60,0
8. გურჯაანის . . . . .	900	43	387,0
9. სიღნაღის . . . . .	750	38	285,0
10. ლაგოდეხის . . . . .	1410	40	564,0
11. თელავის . . . . .	1500	47	705,0
12. ყვარლის . . . . .	1900	42	798,0
13. ჯუღელის . . . . .	1600	40	640,0
14. ჩხარის . . . . .	1400	31	434,0
15. ორჯონიკიძის . . . . .	500	40	200,0
16. ჭიათურის . . . . .	350	31	108,0
17. ქუთაისის . . . . .	5150	39	2014,0
18. ბაღდადის . . . . .	1170	30	351,0
19. ტყიბულის . . . . .	160	41	66,0
20. სამტრედიის . . . . .	5600	37	2072,0
21. ხონის . . . . .	4500	37	1665,0
22. ვანის . . . . .	4100	36	1476,0
23. აბაშის . . . . .	4000	34	1360,0
24. ცხაკაიას . . . . .	3500	32	1120,0
25. ფოთის . . . . .	400	36	144,0
26. მარტვილის . . . . .	4800	36	1728,0
27. ზუგდიდის . . . . .	5400	37	1998,0
28. ხობის . . . . .	3000	31	930,0
29. წალენჯიხის . . . . .	2350	34	799,0
30. ჩხოროწყუს . . . . .	3100	40	1240,0
31. მახარაძის . . . . .	4900	41	2009,0
32. ლანჩხუთის . . . . .	4800	36	1728,0
33. ჩოხატაურის . . . . .	3700	42	1554,0
34. ამბროლაურის . . . . .	400	31	124,0
35. ცაგერის . . . . .	650	32	208,0
36. აჭარის ასსრ . . . . .	600	32	192,0
37. აფხაზეთის ასსრ . . . . .	6400	35	2304,0
სულ . . . . .	80000	36,9	29500,0

გ ვ გ მ ა

1936 წელს საქართველოს სსრ-ში თუთის ხის გაშენებისა

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ნერგის ჩაყრა ათას ცალობით 36 ჰექტარზე (გაზაფხულსა და შემოდგომაზე)	სკოლების გაშენება (ჰექტარობით)	თუთის ხის თესვა (ჰექტარობით)	თესლის დამზადება (კილოგრამ.)
ტფილისის . . . . .	10,0	1,0	1,0	—
საგარეჯოს . . . . .	10,0	1,0	0,5	—
ლუქსემბურგის . . . . .	—	—	0,75	—
კასპის . . . . .	10,0	1,0	0,75	—
გორის . . . . .	10,0	1,0	0,75	—
ბორჩალოს . . . . .	—	—	0,5	—
ხაშურის . . . . .	—	1,0	0,5	—
ლაგოდეხის . . . . .	70,0	2,0	1,5	80,0
თელავის . . . . .	60,0	1,0	0,5	30,0
ყვარლის . . . . .	70,0	—	—	—
სიღნაღის . . . . .	100,0	1,0	0,5	—
გურჯაანის . . . . .	90,0	1,0	0,5	—
ჯუღელის . . . . .	30,0	1,0	0,5	—
ჩხარის . . . . .	20,0	1,0	0,5	—
ორჯონიკიძის . . . . .	30,0	1,0	0,25	—
კიათურის . . . . .	10,0	—	0,25	—
ქუთაისის . . . . .	20,0	2,0	0,5	—
ბაღდადის . . . . .	10,0	1,0	0,25	—
ტყიბულის . . . . .	10,0	—	0,25	—
ზონის . . . . .	50,0	1,5	0,75	60,0
სამტრედიის . . . . .	20,0	0,75	0,5	50,0
ვანის . . . . .	10,0	0,5	0,25	30,0
ჩოხატაურის . . . . .	60,0	2,5	0,25	40,0
მაზარაძის . . . . .	15,0	1,25	0,5	40,0
ლანჩხუთის . . . . .	40,0	1,25	0,5	40,0
აბაშის . . . . .	55,0	1,25	0,5	30,0
უბჯაიას . . . . .	55,0	1,25	0,5	20,0
ხობის . . . . .	20,0	1,0	0,5	20,0
ზუგდიდის . . . . .	30,0	1,0	0,5	20,0
წალენჯიხის . . . . .	40,0	0,25	0,25	30,0
ჩხოროწყუს . . . . .	5,0	0,25	0,5	20,0
მარტვილის . . . . .	8,0	0,75	0,25	30,0
ცაგერის . . . . .	8,0	—	0,5	—
ამბროლაურის . . . . .	4,0	1,0	0,5	—
აფხაზეთის ასსრ . . . . .	40,0	3,25	1,5	30,0
აჭარის ასსრ . . . . .	—	0,25	0,5	10,0
სულ . . . . .	1.000.000	35,0	19,0	800,0

16. თუთის ხის გამწვანებელი კოლექტიური მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისა და საკვები ფონდის მოვლასა, შენარჩუნებასა და გაფართოებაზე გასაწევი ხარჯების კომპენსაციის მიზნით დაწესებულ იქნას სპეციალური წანამატი 10 კაპ. რაოდენობით კოლმურნეთა მიერ ჩაბარებულ თვითიერ კილოგრამ პარკზე; ეს წანამატი კოლექტიურ მეურნეობებს მიეცეთ დამმზადებელი ორგანიზაციების ზედნადები ხარჯების ანგარიშიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალდებულ ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის საოლქო კომიტეტებს, მეაბრეშუმეობის საოლიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის რაიონულ კომიტეტებს, — რაიონებსა, სოფლებსა და ცალკეულ მეაბრეშუმეებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე და აბრეშუმის ჭიის გამოკვების და მოვლის ყველა წესის მტკიცე განხორციელებით, — მიადწინონ 1936 წელს აბრეშუმის პარკის დამზადებისათვის ამა დადგენილებით განსაზღვრული გეგმის აუცილებლად გადამეტებით შესრულებას.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მალობლიშვილი.

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის მდივანი ლ. ბერია.

1936 წ. მარტის 12/აპრილის 3. № 363.

ტფილისი.

## 67. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამელიორაციო ამხანაგობათა ლიკვიდაციის შესახებ.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საყოველთაოდ გავრცელებისა და კოლექტიური მეურნეობების მეურნეობრივ-პოლიტიკურად განმტკიცების გამო და სამელიორაციო (წყლის) ამხანაგობათა შემდგომი არსებობის არამიზანშეწონილობის გამო, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1936 წ. იანვრის 1-დან სამელიორაციო (წყლის) ამხანაგობანი, თანაც გაუქმებულ იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. თებერვლის 11-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება ამ ამხანაგობათა შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 5 მუხ, 56).

აღნიშნულ ამხანაგობათა ლიკვიდაციის ჩატარება მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს.



2. ლიკვიდირებულ სამელიორაციო ამხანაგობათა ყველა სამშენებლო სამუშაოებსა და საექსპლოატაციო ფუნქციები დაეკისროს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს სათანადო სარაიონო ორგანოებს.

3. ლიკვიდაცია არ სპობს სამელიორაციო ამხანაგობათა წევრების დავალიანებას სამელიორაციო თანხებდასთვის გასული 1935 წლისათვის.

4. სამელიორაციო ამხანაგობათა ლიკვიდაციის გამო გაუქმებულ იქნას 1936 წლიდან ამ ამხანაგობათა მოქმედების რაიონებში წყლის გამოსაღების ყველა შეღავათი, რაც დადგენილია სამელიორაციო ამხანაგობათა არსებობასთან დაკავშირებით.

5. მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, განსაზღვროს დამატებითი წყლის გამოსაღების თანხა და სათანადოდ გაადიდოს საექსპლოატაციო ხარჯების თანხა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხარჯთაღრიცხვით.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. მარტის 14/26 .№ 123/318.

ტფილისი.

### 68. დადგენილება ს.კ.ს.

მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და ადგილობრივი დაწესებულებების და ორგანიზაციების საბჭოთა მეურნეობების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. იანვრის 11-ის და 51 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. აიკრძალოს ყველა სახალხო კომისარიატის მუშათა მომარაგების განყოფილების ან ადგილობრივი დაწესებულების და ორგანიზაციის სარგებლობაში მყოფი თუ კუთვნილი საბჭოთა მეურნეობების მიწების და ძირითადი კაპიტალის გადაცემა ერთი ორგანიზაციიდან მეორე ორგანიზაციაში, ან ასეთ საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნებადაურთველად.

2. უკეთუ ამა დადგენილების გამოცემამდე ესა თუ ის საბჭოთა მეურნეობა გადაეცა სხვა სისტემას, ან მისი მიწები გადაეცა კოლექტიურ მეურნეობას, ყველა ასეთ შემთხვევაში ამა თუ იმ საბჭოთა მეურნეობისათვის დაწესებული დავალბა საგაზაფხულო თესვის ფართობის შესახებ სავესებით გადაიტანება ახალ მიწათმოსარგებლზე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოდგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ხ. მებუკე.

1936 წ. მარტის 23. № 292.

ტფილისი.

## ვაჭრობა. მომარაგება.

### 69. დადგენილება ს.კ.ს

საქართველოს სსრ შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურების შესახებ.

„სსრ კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატისა, მოკავშირე რესპუბლიკების შინავაჭრობის სახალხო კომისარიატებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 5-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-2 №-ი, მუხ. 17) და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების 24 მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-19 №-ი, მუხ. 157) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის შედგენილებაში შემდეგი სამმართველოები და განყოფილებები:

- ა) ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველო;
- ბ) სასურსათო და სამრეწველო საქონლის სამმართველო;
- გ) პურის სექტორი;
- დ) საგემო-ეკონომიური განყოფილება.

2. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის შემდეგი სტრუქტურა:

ა) სავაჭრო ქსელის ორგანიზაციის განყოფილება (სავაჭრო და სასაწყობო ქსელისა, ვაჭრობის ნორმების და წესებისა და საკოლმეურნეო, საიარმუკო და საბაზრო ვაჭრობის ჯგუფებით);

ბ) სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის განყოფილება (სასურსათო ვაჭრობის და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ჯგუფებით);

გ) საგემო-საფინანსო განყოფილება (საქონელბრუნვის დაგეგმვისა, საფინანსო და აღრიცხვის და ანგარიშგების ჯგუფებით);

დ) საადმინისტრაციო-სამეურნეო განყოფილება;

ე) კადრების მომზადების, განაწილებისა და აღრიცხვის განყოფილება;

ვ) მთავარი ინჟინერის ბიურო;

ზ) სპეციალური განყოფილება:

საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისართან, ამის გარდა, არსებობს:

თ) საინსპექტორო-სარევიზიო ჯგუფი;

ი) სამდივნო;

კ) საუწყებო არბიტრაჟი.

8. საქართველოს სსრ შინაგაქრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები არიან:

- ა) შინაგაქრობის საქალაქო განყოფილებანი;
- ბ) შინაგაქრობის სარაიონო განყოფილებანი;
- გ) შინაგაქრობის სარაიონო ინსპექტურები.

აღნიშნული განყოფილებანი და ინსპექტურები მოეწყობიან სათანადო საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში მათთვის დამტკიცებული საერთო სააპარატო სტრუქტურის შესაბამისად.

4. საქართველოს სსრ შინაგაქრობის სახალხო კომისარიატის სისტემაში, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მოქმედი სავაქრო ცალობითი ვაქრობის ორგანიზაციების (ვაქრობანი) სახით არსებობენ:

- ა) სამრეწველო საქონლის ცალობითი ვაქრობის რესპუბლიკანური ორგანიზაცია — „საქმრეწვაქრობა“.
- ბ) სასურსათო საქონლის და პურფურაჟის ცალობითი ვაქრობის რესპუბლიკანური ორგანიზაცია — „საქსაქვაქრობა“.
- გ) სამრეწველო საქონლის ცალობითი ვაქრობის ტფილისის საქალაქო ორგანიზაცია — „ტფილმრეწვაქრობა“.
- დ) სასურსათო საქონლის და პურფურაჟის ცალობითი ვაქრობის ტფილისის საქალაქო ორგანიზაცია — „ტფილსაქვაქრობა“.
- ე) ცალობითი უნივერსალური ვაქრობის აფხაზეთის რესპუბლიკანური ორგანიზაცია „აფვაქრობა“.

5. შინაგაქრობის ორგანოების ზემოაღნიშნული რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს სსრ შინაგაქრობის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოებისათვის დამტკიცებული შტატებისა და საშტატო კონტინგენტების ფარგლებში.

6. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს — დააწესონ ამა დადგენილების შესაბამისად მათი ქვემდებარე შინაგაქრობის ორგანოების სტრუქტურა.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინაგაქრობის სახალხო კომისარიატს — წარუდგინოს ორი თვის ვადაზე საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს ამ სახალხო კომისარიატის დებულების პროექტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. მღვიანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუჯე.

1936 წ. მარტის 29. № 343.

ტფილისი.

## 70. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

1936 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის შესახებ.

„1936 წლის მოსავლის თამბაქოს და წიკოს კონტრაქტაციის გეგმის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის თებერვლის 3-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესებულ იქნას გეგმა საქართველოს სსრ-ში 1936 წლის მოსავლის თამბაქოს პროდუქციის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციისა კოლმეურნეობებში, კოლმეურნეობთან (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილში) და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობებში—13,094 ტონის რაოდენობით; აქედან აფხაზეთის ასსრ-ში 6,944 ტონა და საქართველოს მეთამბაქოეობის სხვა რაიონებში—6,150 ტონა.

2. დასაკონტრაქტებელი პროდუქციის გამოსავლის ამ რაოდენობის უზრუნველსაყოფად დაწესებულ იქნას რგვის გეგმა—19,400 ჰექტარის რაოდენობით; აქედან აფხაზეთის ასსრ-ში—11,200 ჰე., და საქართველოს მეთამბაქოეობის სხვა რაიონებში 8200 ჰე.. დაწესებულ იქნას ნედლეულის ჩაბარების (გაყიდვის) სავალდებულო საშუალო რაოდენობა ჰექტარზე საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა მიხედვით აფხაზეთის ასსრ-ში—6,2 ცენტნერი, ხოლო საქართველოს სსრ სხვა რაიონებში—7,5 ცენტნერი.

1936 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის გეგმის ფარგლებში განაწილდეს სასიგარო თამბაქოსათვის აფხაზეთის ასსრ-ში 50 ჰექტარი, ხოლო დასავლეთ საქართველოს მეთამბაქოეობის რაიონებში 20 ჰექტ. (აჭარაში—10 ჰე და ზუგდიდის რაიონში—10 ჰე).

3. დამტკიცებულ იქნას თამბაქოს რგვის შემდეგი რაიონობითი გეგმა, ჩაბარების სავალდებულო ნორმები ჰექტარზე და დასაკონტრაქტებელი პროდუქციის საერთო რაოდენობა სექტორებისა და საქართველოს სსრ მეთამბაქოეობის ცალკეული რაიონების მიხედვით (უაფხაზეთოდ) (იხ. ცხრილი № 1 გვ. 142).

4. ნება მიეცეს აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეთამბაქოეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის რაიონულ კომიტეტებს ამ დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად დაწესებული ჩაბარების საშუალო ნორმის (ჰექტარზე) დასაკონტრაქტებელი პროდუქციის ფარგლებში შეცვალონ ხოლმე, თუ ეს საჭირო იქნება, პროდუქციის ჩაბარების ნორმები (ჰექტარზე) სექტორების მიხედვით; ამასთანავე ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების ჩაბარების ნორმები 10 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილი)—5 პროცენტით მეტი უნდა იყოს კოლმეურნეობათა ჩაბარების ნორმებზე.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს ამ და-

დგენილების 1-ლი და მე-2 მუხლების შესაბამისად, განსაზღვრონ თამბაქოს რეგის გეგმა, ჩაბარების ნორმები ერთ ჰექტარზე, და დასაკონტრაქტებელი პროდუქციის რაოდენობა ამ რესპუბლიკის ცალკეული რაიონებისა და სექტორების მიხედვით; ამასთანავე გაითვალისწინონ ჩაბარების საშუალო ნორმები ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობებისათვის 10 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეებისათვის (განუსაზოგადოებულ ხარგავთა ნაწილი)—5პროცენტით მეტი კოლმეურნეობათა ჩაბარების ნორმებზე.

6. დაწესებულ იქნას საქართველოს სსრ (უაფხაზეთოდ) რაიონების კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილი) და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისათვის დასაკონტრაქტებელი თამბაქოს სავალდებულო ასორტიმენტი ცალკეული ბოტანიკური ჯიშებისა, რაც დამუშავებული უნდა იქნას 5113 სტანდარტის მიხედვით (იხ. ცხრილი № 2).

7. დაწესებულ იქნას დასაკონტრაქტებელი თამბაქოს შემდეგი სავალდებულო ასორტიმენტი (საშუალო ბოტანიკური ჯიშების მიხედვით) აფხაზეთის ასსრ-თვის: № 5113 სტანდარტით I ხარისხი—1%, II ხარისხი—5%, III ხარისხი—18%, IV ხარისხი—71% და V ხარისხი—5%.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ-პ. (ბ) აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს საქართველოს სსრ მეთამბაქოეობის ყველა დანარჩენი რაიონის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის სარაიონო კომიტეტებს არა უგვიანეს 1936 წლის აპრილის 1-ისა მოახდინონ დასაკონტრაქტებელი თამბაქოს ჩაბარების რაიონობითი ნორმებისა და ასორტიმენტის დიფერენციაცია ცალკეულ კოლმეურნეობებზე, ხოლო ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობების მიმართ—სასოფლო საბჭოებზე ნიადაგისა და სხვა პირობების მიხედვით, ისე-კი, რომ მთლად რაიონში ან ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაკონტრაქტებელი პროდუქცია შეესაბამებოდეს ამა დადგენილების მე-3, 6 და 7 მუხლებით გათვალისწინებულ რაოდენობას და ასორტიმენტს.

9. დაწესებულ იქნას, რომ კოლმეურნეობანი, (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილი) და ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობანი, რომელნიც გადაჭარბებით შეასრულებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სახელმწიფოსათვის 1936 წლის მოსავლიდან თამბაქოს ჩაბარების გეგმებს, როგორც რაოდენობით ისე ასორტიმენტის მიხედვით, და ავრთვე დაკონტრაქტებული თამბაქოს ღირებულების ფარგლებში მიიღებენ პრემია-წანაშატს ძირითად სადამხადელო გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თამბაქოს პროდუქციისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და კ. პ. (ბ) ც. კ. 1935 წელს აპრილის 2? ის დადგენილებით დაწესებული რაოდენობით.

10. დაწესებულ იქნას, რომ კოლმეურნეობანი, რომელნიც მთლად შეასრულებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რაოდენობის, ასორტიმენტის და ღირებულების მიხედვით გამოპყიფენ კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილების თანხმად, თავიანთ ზედმეტ თამბაქოდან თამბაქოს ნედლეულის ფონდს, სახელმწიფოსათვის მისაყიდად ზეგემური ჩაბარების წესით, ხოლო მთელ დანარჩენ ზედმეტ თამბაქოს გაანაწილებენ კოლმეურნეობათა წევრებს შორის შრომა-დღეების მიხედვით.

11. თამბაქოს კონტრაქტაციის დამთავრების ვადად დაინიშნოს აპრილის 20-ე

12. წინადადება მიეცეს „საქთამბაქონდლეულს“ გაითვალისწინოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში დაკონტრაქტებული პროდუქციის ჩაბარების შემდეგი საკალენდარო ვადები:

1936 წლის 15/X—1/XI-მდე	წლიური გეგმის არა	ნაკლებ	±%-ისა
1936 „ 1/XI—1/XII-მდე	„ „ „	„	15% „
1936 „ 1/XII—1937 წ. 1/I-მდე	„ „ „	„	25% „
1937 „ 1/I—1/II-მდე	„ „ „	„	25% „
1937 „ 1/II—1/III-მდე	„ „ „	„	20% „
1937 „ 1/III—15/III-მდე	„ „ „	„	10% „

„აფთამბაქომ“—საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში გაითვალისწინოს ჩაბარების თვიური გეგმები, დაწესებული 1935 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების გეგმის მიხედვით.

13. კონტრაქტაციის ჩატარება და ფულადი ავანსების მიცემა კონტრაქტანტებისათვის, აგრეთვე აგროსაწარმოო კონტროლის გაწევა დაეკისროს: აფხაზეთის ასსრ-ში „აფთამბაქოს“, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში „საქთამბაქონდლეულს“.

დაწესდეს, რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები დადებულ ინდა იქნას თითოეულ კოლმეურნეობასთან, კოლმეურნესთან (განუსაზოვადობებელ ნარგავის ნაწილი) და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობასთან ცალკე; ამასთანავე თითოეულ კონტრაქტანტს ხელშეკრულების ჩაბარების დროს აუცილებლად უნდა ჩაბარდეს ადგილობრივ ენაზე დაბეჭდილი საკონტროლო-საკონტრაქტაციო წიგნაკი.

14. თამბაქოს დარგის მინიმალური ფართობი ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის განისაზღვროს 2.000 კვ. მეტრის რაოდენობით.

15. ფულად საკონტრაქტაციო ავანსის საშუალო რაოდენობად დაკონტრაქტებულ თითო ტონა პროდუქციაზე დაწესებულ იქნას: აფხაზეთის ასსრ-თვის 1.700 მანეთი, ხოლო აჭარის ასსრ-ისა და საქართველოს მეთამბაქოეობის სხვა რაიონებისათვის—1.000 მან., აქედან „ტრაპეზონის“ თესლის ბოტანიკური ჯიშისათვის 980 მან. და „სამსუნის“ ჯიშის თესლისათვის 1237 მან. ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის საერთო თანხა განისაზღვროს 17.955 ათასი მან., აქედან აფხაზეთის ასსრ-თვის 11.805 ათასი მან., ხოლო აჭარის ასსრ-თვის და საქართველოს მეთამბაქოეობის სხვა რაიონებისათვის 6.150 ათასი მანეთი.

ავანსების გაცემის ვადები დაწესებულ იქნას მეთამბაქოეობის ძირითადი საწარმოო პროცესების ჩატარების ვადების შესაბამისად: აფხაზეთის ასსრ-ში ავანსის საერთო რაოდენობის 30% გაცემულ უნდა იქნას აპრილში სანერგეების განსამზადებლად; 30%—ივნისში-დასარგავად და გათოხენისათვის და დანარჩენი 40%—ივლის-აგვისტოში მოსავლის აღებისა და დამუშავებისათვის; აჭარის ასსრ-ში და საქართველოს მეთამბაქოეობის სხვა რაიონებში-ავანსის საერთო რაოდენობის 20% ხელშეკრულებების ხელმოწერისას, 40% აპრილ-მაისში სარგავად სანერგეების განსამზადებლად და 40% ივლის-აგვისტოში-მოსავლის აღებისა და დამუშავებისათვის.

16. დაწესებულ იქნას ფულადი ავანსების გაცემის შემდეგი რაოდენობით ნორმები დაკონტრაქტებულ ტონა პროდუქციაზე სექტორობით და ცალკეულ ზოტანიკურ ჯიშების მიხედვით საქართველოს (უაფხაზეთოდ) მეთამბაქოეობის რაიონებში. (იხ. ცხრილი № 3).

17. წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს და აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დააწესონ საქტორებში ფულადი ავანსების გაცემის რაიონობითი ნორმები; ამასთანავე, ამა დადგენილების მე-16 მუხლის შესაბამისად ფულადი ავანსი უნდა მიეცეს კოლმეურნეობებს 30 პროცენტით მეტი, ხოლო კოლმეურნეებს (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილში) 15 პროცენტით მეტი, ვიდრე ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს.

18. დაევალოს „აფთამბაქოს“ და „საქთამბაქონედლეულს“ სისტემატურად შეამოწმონ კონტრაქტანტების მიერ საწარმოო პროცესების შესრულება დაწესებული აგროწესების შესაბამისად.

19. მეთამბაქოეობის აგრო-საწარმოო მომსახურება ყველა სექტორის ხაზით და მთელი პასუხისმგებლობა თესვის დარგვის, მოსავლის აღების, დამუშავებისა და ნედლეულის ჩასაბარებლად გამზადების გეგმის შესრულებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და მათ აღგილობრივ ორგანოებს.

20. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „საქთამბაქონედლეულს“ ახალი სტანდარტის შემოღებასთან დაკავშირებით უზრუნველყონ საჭირო ღონისძიებათა განხორციელება, საკოლმეურნეო კადრების და აგროპერსონალის გარდასამზადებლად.

ვინაიდან საქართველოს სსრ მეთამბაქოეობის რაიონებში მიმდინარე წელს შემოღებული ახალი ხარისხიანობითი უფრო მაღალი სატანდარტი № 5113 მოითხოვს თამბაქოს დამუშავების გაუმჯობესებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აკისრებენ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს, საშანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და მეთამბაქოეობის რაიონების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს უზრუნველყონ 1936 წ. მეთამბაქოეობის რაიონების მოწინავე მეთამბაქოეთა მუშაობის მეთოდებისა და მაგალითების ფართოდ გამოყენება და აგროტექნიკისა, თამბაქოს პლანტაციების მოვლისა და თამბაქოს დამუშავების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების საღუფელზე მიაღწიონ 1936 წელს თამბაქოს მოსავლიანობის უფრო მეტად გადიდებას და ხარისხის წარმატებას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ვ. ბაქრაძე.

1936 წ. თებერვლის 26. № 307.

ტფილისი.



ავტ. რეზ. და რაიონები	დარგვის ხაზმა ჰექტარ.			1 ჰექტარზე ნაზარების ნორმა ცენტნერობით			დასაკონტრაქტებელი დუქცია ტონობით		
	კოლმეურ.	ერთობ. მეურნეობ.	ს უ ლ	კოლმეურ.	ერთობირ. მეურნ.	ს უ ლ	კოლმეურ.	ერთობირ. მეურნ.	ს უ ლ
1. ლაგოდეხის . . . . .	2971,0	329,0	3300,0	8,74	9,72	8,98	2625,5	321,4	2946,9
2. სიღნაღის . . . . .	1531,0	44,0	1575,0	7,63	8,39	7,65	1168,0	36,8	1204,8
3. ყვარლის . . . . .	400,0	50,0	450,0	7,94	8,73	8,07	317,6	43,5	361,1
4. გურჯაანის . . . . .	192,0	8,0	200,0	7,19	7,91	7,22	138,0	6,4	144,4
5. ბორჩალოს . . . . .	850,0	350,0	1200,0	5,48	6,02	5,64	465,8	211,0	676,8
6. ლუქსემბურგის . . . . .	75,0	90,0	165,0	5,04	5,54	5,32	37,8	50,0	87,8
7. ზუგდიდის . . . . .	180,0	40,0	220,0	5,41	5,95	5,52	97,4	24,0	121,4
8. წალენჯიხის . . . . .	74,0	11,0	85,0	5,08	5,53	5,10	37,2	6,1	43,3
9. ჩხოროწყუს . . . . .	91,5	33,5	125,0	4,96	5,46	5,10	45,4	18,3	63,7
10. ჩოხატაურის . . . . .	230,0	50,0	280,0	5,01	5,51	5,10	115,2	27,6	142,8
11. აკარის ასსრ . . . . .	411,0	189,0	600,0	5,77	6,35	5,95	237,0	120,0	357,0
ს უ ლ . . . . .	7005,5	1194,5	8200,0	7,54	7,24	7,5	5264,9	865,1	6150,0





ავტ. რეზ. და რაიონები	I ნარისბი		II ნარისბი		III ნარისბი		IV ნარისბი		V ნარისბი		სულ	
	აბსო-ლუტ. ტონ.	%/0	აბსო-ლუტ. ტონ.	%/0	აბსო-ლუტ. ტონ.	%/0	აბსო-ლუტ. ტონ.	%/0	აბსო-ლუტ. ტონ.	%/0	აბსო-ლუტ. ტონ.	%/0
<b>„ტრაპეზუნის“ თესლი</b>												
ლაგოდების . . . . .	35,0	1,2	144,5	4,9	607,1	20,6	1924,5	65,3	235,8	8,0	2946,9	100,0
სიღნაღის . . . . .	9,6	0,8	88,6	3,7	168,6	14,0	861,5	71,5	126,5	10,5	1204,8	100,0
ფარლის . . . . .	1,1	0,3	4,3	1,2	18,0	5,0	293,6	81,3	44,1	12,2	361,1	100,0
გურჯაანის . . . . .	0,3	0,2	1,2	0,8	4,9	3,4	119,2	82,6	18,8	13,0	144,4	100,0
ბორჩალოს . . . . .	0,7	0,1	2,7	0,4	20,3	3,0	541,4	80,0	111,7	16,5	676,8	100,0
ლესეუმბორგის . . . . .	—	—	0,2	0,2	1,3	1,5	71,4	81,3	14,9	17,0	87,8	100,0
აქარის ახსრ . . . . .	5,2	2,1	17,8	7,1	70,0	28,8	134,5	53,8	22,5	9,9	250,0	100,0
სულ „ტრაპეზუნის“ თესლის ზანით . . . . .	51,9	0,9	203,3	3,7	890,2	15,7	3946,1	69,6	574,3	10,1	5671,8	100,0
<b>„ხამსუნის“ თესლი</b>												
ზუგდიდის . . . . .	2,4	2,0	9,7	8,0	41,3	34,0	58,3	48,0	9,7	8,0	121,4	100,0
წალენჯიხის . . . . .	0,6	1,5	2,6	5,0	11,0	25,5	25,6	59,0	3,5	8,0	43,3	100,0
ჩხოროწყუს . . . . .	1,3	2,0	5,1	8,0	21,6	34,0	30,6	48,0	5,1	8,0	63,7	100,0
ნოხატაურის . . . . .	2,1	1,5	8,6	6,0	36,4	25,5	82,9	58,0	12,8	9,0	142,8	100,0
აქარის ახსრ . . . . .	3,2	3,0	10,7	10,0	45,0	42,0	38,5	36,0	9,6	9,0	107,0	100,0
ხულ „ხამსუნის“ თესლის ზანით . . . . .	9,6	9,0	36,7	7,7	155,3	32,5	235,9	49,3	40,7	8,5	478,2	100,0
სულ საქართველოში (უაღსაზეთოდ) ორივე ზანით . . . . .	51,5	1,0	246,0	4,0	1045,5	17,0	4182,0	68,0	615,0	10,0	6150,0	100,0



ავტ. რესპ. და რაიონები	ტრაპეზუნი			ს ა მ ს უ ნ ი			სულ თრივე ხარისხის ხაზით		
	1 ტონაზე ავენსის ნორმა მანეთობით		საკონტრაქტაცი. ავენსის საერთო ჯამი	1 ტონაზე ავენსის ნორმა მანეთობით		საკონტრაქტაცი. ავენსის საერთო ჯამი	1 ტონაზე ავენსის ნორმა მანეთობით		საკონტრაქტაცი. ავენსის საერთო თანხა
	კოლმეურ.	ერთპირ. მეურნ.		კოლმეურ.	ერთპირ. მეურნ.		კოლმეურ.	ერთპირ. მეურნ.	
1. ლაგოდეხის . . . . .	1005	773	2888,0	—	—	—	1005	773	2888,0
2. სიღნაღის . . . . .	987	759	1180,0	—	—	—	987	759	1180,8
3. ყვარლის . . . . .	1007	775	353,9	—	—	—	1007	775	353,9
4. გურჯაანის . . . . .	989	761	141,5	—	—	—	989	761	141,5
5. ბორჯაღოს . . . . .	1056	812	663,2	—	—	—	1056	812	663,2
6. ლესეგმბურგის . . . . .	1128	868	86,0	—	—	—	1128	868	86,0
7. ზუგდიდის . . . . .	—	—	—	1296	997	150,3	1296	997	150,3
8. წალენჯიხის . . . . .	—	—	—	1278	983	53,5	1278	983	53,5
9. ჩხოროწყუს . . . . .	—	—	—	1325	1019	78,9	1325	1019	78,9
10. ჩობატაურის . . . . .	—	—	—	1293	995	176,6	1293	995	176,6
11. აკარის ასსრ . . . . .	1062	817	245,0	1340	1031	132,3	1145	881	377,3
<b>სულ საქართველოში (უაფხაზეთოდ)</b>	<b>1011</b>	<b>778</b>	<b>5558,4</b>	<b>1308</b>	<b>1006</b>	<b>591,6</b>	<b>1031</b>	<b>807</b>	<b>6150,0</b>

გამოკვეთებულია გაზ „კომუნისტის“ 78 №-ში 1936 წ. აპრილის 4.

ბ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის  
კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნიანთვის 1936 წელს

№№ რიგზე	დაწესებულებანი	ცალღების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს . . . . .	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს . . . . .	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს . . . . .	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს . . . . .	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს . . . . .	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს . . . . .	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს . . . . .	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს . . . . .	5
10	სახალხო სასამართლოებს . . . . .	1
11	სარაიონო პროკუროროებს . . . . .	1
12	სახალხო გამომძიებლებს . . . . .	1

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ბ-ის 1936 წ. № 21.3/მ. რედაქტორი მ. გამრქაძე  
 საქმ. მმართველობა  
 ქალაქის ფორმატი 62x94 სმ.; 1/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48,500 სტამბ. ნიშანი  
 გადაეცა სტამბას 8/IV ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IV ტირაჟი 1.900  
 თავლ. რწმ. № 87052 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართველ. სტამბა, ტფილისი. შეფ. № 387